

შ.პ ს. „ინფარმ „

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშებო წლისთვის, რომელიც დასრულდა
2023 წლის 31 დეკემბერს.

სარჩევი

#	შინაარსი	გვ.
1	ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	3
2	ანგარიშგება შემოსავლებისა და მოგება ზარალის შესახებ	4
3	ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ	5
4	ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებები შესახებ	6
5	სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა განმარტებითი შენიშვნები	7-12

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ(ლარი)				
	შენიშვნა	2023	2022	2021
აქტივები:				
მიმდინარე აქტივები				
ფულადი სახსრები	1	611519	471643	373086
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	18115445	12447652	8671101
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		1405865	856764	84
სულ მიმდინარე აქტივები		20132829	13776059	9044271
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		660	825	996
არამატერიალური აქტივები	3	9046	8478	22145
საგადასახადო აქტივი				
სულ გრძელვადიანი აქტივები		9706	9303	23141
სულ აქტივები		20142535	13785362	9067412
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი:				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ბანკის ოვერდრაფტი				
სავაჭრო ვალდებულებები	4	17805990	12985351	7535485
სხვა ვალდებულებები				
გადასახდელი პროცენტები				
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება				
ანარიცხები საგარანტიო ვალდებულებისთვის				
დაქირავებით მომუშავეთა გასამრჯელოების მიმდინარე ნაწილი				
ფინანსური იჯარის ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი				
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		17805990	12985351	7535485
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ბანკის სესხი				
მომუშავეთა გრძელვადიანი გასამრჯელოების ვალდებულებები				
ფინანსური იჯარის ვალდებულებები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები		17805990	12985351	7535485
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		46248	46248	46248
გაუნაწილებელი მოგება		2290297	753763	1485679
სულ საკუთარი კაპიტალი		2336545	800011	1531927
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		20142535	13785362	9067412

შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის ანგარიშგება

(ლარი)

	შენიშვნები	საანგარიშო პერიოდი 2023 წელი	საანგარიშო პერიოდი 2022 წელი
ამონაგები	1	23147923	14673115
რეალიზებული პროდუქციის/ მომსახურების თვითღირებულება	2	(20360637)	(13783971)
საერთო მოგება		2787286	889144
სხვა შემოსავალი		(0)	(0)
კომერციული დანახარჯები		(0)	(0)
ადმინისტრაციული ხარჯები		(12800)	(11400)
სხვა საოპერაციო ხარჯები	3	(41007)	(21357)
საოპერაციო მოგება		2733479	856387
არასაოპერაციო შემოსავალი	4	309404	1786852
არასაოპერაციო ხარჯები	5	(129699)	(1812811)
ფინანსური შემოსავალი		(0)	(0)
ფინანსური ხარჯი		(0)	(0)
მოგება დაბეგვრამდე		2913184	830428
მოგების გადასახადის ხარჯი		(0)	(0)
მიმდინარე წლის წმინდა მოგება		2913184	830428
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში		800011	1531927
მოგების განაწილება დივიდენდის სახით		(1376650)	(1549632)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		(0)	(12712)
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს		2336545	800011

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ლარი)			
	შენი შვანა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მომხმარებლებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		17786536	9145295
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		(-)	(-)
შესყიდულ საქონელზე გადახდილი ფულადი სახსრები		(16148510)	(7474613)
თანამშრომლებისთვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები		(6000)	(5400)
დღგ და სხვა გადასახადები		(-)	(-)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(98223)	(51192)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		1533803	1614090
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
მანქანადანადგარის გაყიდვის შედეგად მიღებული ფულადი სახსრები			
მანქანადანადგარების შეძენა		(-)	(-)
საოფისე ფართის შეძენა			
სესხის დაბრუნება			
სესხის გაცემა		(-)	(-)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(-)	(-)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:			
ნასესხები სახსრების მიღება			
ფინანსური იჯარით გათვალისწინებული ვალდებულებების გადახდა		(-)	(-)
ნასესხები სახსრების გადახდა		(-)	(-)
გაცემული დივიდენდი		(1376650)	(1549632)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1376650)	(1549632)
შემოსავალი კურსთაშორის სხვაობიდან		(17277)	34099
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტების წმინდა ზრდა /(შემცირება)		139876	98577

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ლარი)				
	საწესდებო კაპიტალი	დამატებითი შენატანები კაპიტალში	გაუნაწილებ ელი მოგება	სულ
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	46248		1485679	1531927
წლის მთლიანი სრული შემოსავალი				830428
გაცემული დივიდენდი				(1549632)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				(12712)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	46248		753763	800011
წლის მთლიანი სრული შემოსავალი				2913184
გაცემული დივიდენდი				(1376650)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში				–
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	46248		2290297	2336545

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი
/შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

1.1 შ.პ.ს. „ინფარმ“-ი (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად, დარეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრში 2016 წლის 27 სექტემბერს. ს.ნ 415097709 .

კომპანიის დამფუძნებელი ალი მეჰრალიევი, აზერბაიჯანიC01038477

კომპანიის დირექტორი: იმრან ასგაროვი, აზერბაიჯანიP4816897

იურიდიული და ფაქტიური მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი , ომარ ხიზანიშვილის ქ., N264 ,თბილისი, თავისუფალი ინდუსტრიული ზონაში და ნომერი 1B-7T/215

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 46 248 ლარს.

1.2 კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში

1.3 საწარმო წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს, მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება.

1.4 არ გააჩნია შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5 საწარმოს არ გააჩნია ფილიალები.

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 კომპანიის მიერ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად.

2.2 კომპანიის საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი. უცხოური ვალუტა აღიარებულია ტრანზაქციის თარიღით არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშება.

2.3 კომპანია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადავიდა 2018 წლის პირველი იანვრიდან.

2.4 სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც კომპანია იყენებს მსს ფინანსური ანგარიშგების სტანდარტზე გადასვლის შემდეგ არსებითად არ განსხვავდებოდა იმ სააღრიცხვო პოლიტიკისაგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა.

2.5 კომპანიის მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის შესაბამისად.

2.6 სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში როდესაც გაწეული იქნა.

2.7 მოგების გადასახადი. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

2.8 კომპანიის მიერ განხორციელებული ინვესტიციები ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება თვითღირებულების მოდელით.

2.9 მიღებული დივიდენდი კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ფულადი ნაკადები, ხოლო გაცემული დივიდენდები, როგორც ფინანსური ოპერაციები.

2.10 კომპანია იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულებების მოდელს. ბარტერითა და უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით, ხოლო ბალანსში ასახულია ცვეთის გამოკლებით.

2.11 შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით:

- ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები, ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით.

2.12 საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს, საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით).

2.13 სასაქონლო მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

2.14 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

2.15 სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

2.16 ბანკის სესხები საპროცენტო ხარჯები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ახსნა-განმარტებები

3.1 ფინანსური მდგომარეობის შესახებ ახსნა-განმარტებები.

3.1.1 ფულადი სახსრები.

შენიშვნა 1

დასახელება	2023	2022
ნაღდი ფული საღაროში	0	0
ფულადი სახსრები ბანკის ანგარ	611519	471643
სულ ფულადი სახსრები	611519	471643

კომპანიას ამჟამად საბანკო ანგარიშები (მიმდინარე ლარში და სავალუტო) გახსნილი აქვს სს იმ ბანკ-ში, არარეზიდენტ ბანკებში ანგარიშები არ აქვს.

3.1.2 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

შენიშვნა 2

დასახელება	2023	2022
მოთხოვნები მიწ. და მომსახ.	17963636	12285974
მოთხოვნები პერსონალთან	0	0
მომწ. გადახდილი ავანსები.	151809	161678
სულ მოთხოვნები და წინასწარ გადახდები.	18115445	12447652

კომპანიის მოთხოვნები ფორმულირებულია ძირითადი საქმიანობიდან. (ფარმაცევტული საქონლის რეალიზაცია). არსებული მოთხოვნებიდან 148256 ლარი შეადგენს ვადაგადაცდილებულ დავალიანებას.

3.1.3 არამატერიალური აქტივები

შენიშვნა 3

დასახელება	2023	2022
არამატერიალური აქტივები	9046	8478
სულ არამატერიალური აქტივები	9046	8478

არამატერიალური აქტივები მოიცავს თავისუფალი ინდუსტრიული ვაჭრობის ლიცენზიას.

3.1.4 სავაჭრო ვალდებულებები

შენიშვნა 4

დასახელება	2023	2022
სავაჭრო ვალდებულება	17805990	12985351
სულ სავაჭრო ვალდებულება	17805990	12985351

კომპანიის ვალდებულებები წარმოშობილია ძირითადი საქმიანობიდან, რომელიც შედგება ფარმაცევტული საქონლის მომწოდებელი ორგანიზაციების მიმართ არსებული დავალიანებით.

3.2 შემოსავლებისა და გაუნაწილებელი მოგება-ზარალის შესახებ ახსნა განმარტება

3.2.1 ამონაგები შენიშვნა 1

დასახელება	2023	2022
საქონლის ექსპორტიდან ამონაგები	23147923	14673115
ამონაგები სულ	23147923	14673115

ამონაგები სრულად ფორმულირებულია ფარმაცევტული საქონლის ექსპორტზე გატანის შედეგად მიღებული შემოსავლიდან.

3.2. 2 რეალიზებული პროდუქციის/მომსახურების თვითღირებულება

შენიშვნა 2

დასახელება	2023	2022
რეალიზ. საქონლის თვითღირებულება	20360637	13783971
სულ რეალიზ. საქონლის თვითღირებულება	20360637	13783971

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება სრულად მოიცავს მისი შეძენის ხარჯებს.

3.2.3 სხვა საოპერაციო ხარჯები

შენიშვნა 3

დასახელება	2023	2022
ბანკის საკომისიო	8157	6786
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	19373	942
კრედიტ -ნოტა (მოთხოვნის დათმობა)	0	0
სხვა	1819	1198
ცვეთა და ამორტიზაცია	11658	12431
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	41007	21357

სხვა ხარჯები ძირითადად შედგება საქონლის ტრანსპორტირების და შენახვის დანახარჯებისაგან.

3.2.4 არასაოპერაციო შემოსავლები

შენიშვნა 4

დასახელება	2023	2022
არასაოპერაციო შემოსავლები	309404	1786852
სულ არასაოპერაციო შემოსავლები	309404	1786852

სხვა არასაოპერაციო შემოსავლები შედგება კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგებით და მომწოდებლის მხრიდან მიღებული ფასდათმობით.

3.2.5 არასაოპერაციო ხარჯები

შენიშვნა 5

დასახელება	2023	2022
არასაოპერაციო ხარჯები	129699	1812811
სულ არასაოპერაციო ხარჯები	129699	1812811

სხვა არასაოპერაციო ხარჯები შედგება კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალით და მოთხოვნის უფლების დათმობით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 26 აგვისტო.

შპს ინფარმ-ის

დირექტორი :

იმრან ასგაროვ

დასახელება	2023	2022
არასაოპერაციო ხარჯები	129699	1812811
სულ არასაოპერაციო ხარჯები	129699	1812811

სხვა არასაოპერაციო ხარჯები შედგება კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული ზარალით და მოთხოვნის უფლების დათმობით.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 26 აგვისტო.

შპს ინფარმ-ის

დირექტორი :

იმრან ასგაროვ

